საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 2013 წლის 01 ნოემბერი

გადაწყვეტილება № 05-01/02

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ შეტანილი ცვლილების დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის; 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 01 ნოემბრის 04-01/59 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

I. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“-ს მე-7 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან:

ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი)

ბ) სტიქიური უბედურების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახიდან მყოფი სტუდენტები “

2. სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წარმოამგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატთა დამტკიცების შემდეგ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათის მინიჭების შესახებ.

II. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი